

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 55) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 112-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლის 112. მოთხოვნის უფლება სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში

1. სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგოს (სამხედრო მოსამსახურეების შემთხვევაში ფულადი სარგოს) ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის პერიოდის განმავლობაში.

2. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არ შეიძლება აღემატებოდეს მოსამსახურის განთავისუფლების დღისათვის მისი თანამდებობრივი სარგოს (სამხედრო მოსამსახურეების შემთხვევაში ფულადი სარგოს) ერთი წლის ოდენობას.“

2. 127-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად (არარად) ცნობის შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.“

3. 127-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების მიერ მოხელე აღდგენილ იქნება სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.“

ပထမဦးဆုံး အသံစဉ်

ပထမဦးဆုံး အသံစဉ်

ပထမဦးဆုံး အသံစဉ်

ပထမဦးဆုံး အသံစဉ်